დამტკიცებულია: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
2024 წლის 17 აპრილის დადგენილებით N11

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი

თბილისი
2024

შინაარსი

თავი I. ზოგადი დებულებანი 2
მუხლი 1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი 2
მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 2
მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომი 2
მუხლი 4. დაშვების წინაპირობები 3

თავი II. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა 3
მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია 3
მუხლი 6. მაგისტრანტის ხელმძღვანელი 4
მუხლი 7. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი 4

თავი III. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენა 5
მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა 5
მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია 6

თავი IV. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი 6
მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგია 6
მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება 7
მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის წერითი კომპონენტის შეფასება 7
მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტის შეფასება 8
მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება 9
მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგები 10
მუხლი 16. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) 10
მუხლი 17. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა 12

თავი V. დასკვნითი დებულებები 12
მუხლი 18. მინიმალური სტანდარტის ამოქმედება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა 12

ინსტრუქცია სამაგისტრო კვლევის პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ 13
მუხლი 1. ინსტრუქციის მოქმედების სფერო 13
მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნები 13
მუხლი 3. სამაგისტრო კვლევის პროექტის მოცულობა და სტრუქტურა 13
მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები 14
მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები 15
მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილი 15

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. წინამდებარე წესი საქართველოს კანონმდებლობისა და სამართლებრივი აქტების შესაბამისად ადგენს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში – „უნივერსიტეტი“) სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის (შემდგომში – „სკოლა“) სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს.
2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი არის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო შემადგენელი ნაწილი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამაში წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომელიც წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.
3. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის მიზანია ჩამოუყალიბოს მაგისტრანტს სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებელად განხორციელების, მიღწეული შედეგების წარმოჩენის და საკუთარი მსჯელობის საჯაროდ და არგუმენტირებულად გადმოცემის უნარი.
4. ნაშრომში უნდა აისახოს სწავლების მოცემულ საფეხურზე შეძენილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, სფეროს სისტემური ცოდნა, მათ შორის, ისეთი სპეციფიკური მეთოდების/საკითხების, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას.
5. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება დასტურდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებითა და მისი საჯარო დაცვით (პრეზენტაცია, დისკუსია).

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. მაგისტრატურა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური.
2. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს.
3. მაგისტრანტი – სტუდენტი, რომელიც სწავლობს მაგისტრატურაში.
4. მაგისტრი – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

მუხლი 3. სამაგისტრო ნაშრომი

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის დასაბუთებული შედეგები აისახება მის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომში.
2. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.
3. სამაგისტრო ნაშრომს მაგისტრანტი, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, შეიმუშავებს ინდივიდუალურად.
4. სამაგისტრო ნაშრომში მაგისტრანტმა:

4.1. უნდა აჩვენოს საჯარო, კერძო, სისხლის ან საერთაშორისო სამართლის ღრმა და სისტემური ცოდნა, მათ შორის, უნდა გადმოსცეს ისეთი სპეციფიკური მეთოდები/საკითხები, რომელთა ძირითადი ნაწილიც ასახავს კვლევაზე დაფუძნებულ ახალ ცოდნას ან/და პროფესიულ პრაქტიკას;
4.2. უნდა შეძლოს, კომპლექსური ინფორმაციის (მათ შორის უახლესი მეცნიერული კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების მოძიება და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე საკუთარი ორიგინალური დასაბუთებული სამართლებრივი დასკვნების ჩამოყალიბება;
4.3. უნდა გამოავლინოს, შედარებით-სამართლებრივი და იურიდიული კვლევის სხვა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი.
5. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე.
6. სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესი (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განსაზღვრულია სამაგისტრო კვლევის პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ ინსტრუქციით, რომელიც წინამდებარე წესის განუყოფელი ნაწილია **(იხ. დანართი №1)**.
7. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) მოცულობა 30 კრედიტს შეადგენს.

მუხლი 4. დაშვების წინაპირობები
1. მაგისტრანტს უფლება აქვს დარეგისტრირდეს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტზე, თუ იგი აკმაყოფილებს დაშვების წინაპირობებს.
2. სამაგისტრო ნაშრომზე ადმინისტრაციული რეგისტრაცია დასაშვებია, თუ მაგისტრანტს რეგისტრაციის მომენტისათვის ათვისებული აქვს პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი, მათ შორის პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი და დაგროვილი აქვს მინიმუმ 78 კრედიტი.

თავი II. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვა

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის თემისა და ხელმძღვანელის რეგისტრაცია
1. მაგისტრანტის მიერ სამაგისტრო თემისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის/ თანახელმძღვანელის შერჩევა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში, დაშვების წინაპირობებს არსებობისას, წარმოებს სემესტრის დაწყებიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში.
2. სამაგისტრო თემისა და ხელმძღვანელის წინასწარი რეგისტრაცია წარმოებს სამართლის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან.
3. სამაგისტრო თემის სათაურისა და ხელმძღვანელის წინასწარი რეგისტრაციის შემდეგ მაგისტრანტი იწყებს სამაგისტრო კვლევის პროექტზე/პროსპექტუსზე მუშაობას.
4. სამაგისტრო კვლევის პროექტის წარდგენამდე, კონსულტაციისათვის განკუთვნილ დროს, წარმოებს მაგისტრანტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერება.
5. მაგისტრანტს უფლება აქვს, სამაგისტრო კვლევის პროექტის წარდგენამდე, სამეცნიერო ხელმძღვანელთან შეთანხმებით, მოითხოვოს შერჩეული თემის სათაურის კორექტირება.

მუხლი 6. მაგისტრანტის ხელმძღვანელი

1. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე უნივერსიტეტის აკადემიური/მოწვეული პერსონალი, რომელსაც გააჩნდეს მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

2. სამეცნიერო ხელმძღვანელმა ერთდროულად შეიძლება უხელმძღვანელოს არაუმეტეს 4 (ოთხი) მაგისტრანტს სემესტრის განმავლობაში.

3. ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევის ფარგლებში სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია:

ა. დახმარება აღმოუჩინოს მაგისტრანტს სამაგისტრო თემის შერჩევაში, სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურის ფორმირებაში, ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებაში, დაზუსტებასა და მოძიებაში, ასევე კვლევის პროექტის შედგენაში

ბ. კონსულტაციები გაუწიოს მაგისტრანტს საკვლევი საკითხის ჩამოყალიბებასთან, კვლევის დიზაინის შემუშავებასთან, კვლევის მეთოდების განსაზღვრასთან და ა.შ. დაკავშირებულ საკითხებზე;

გ. მიაწოდოს მაგისტრანტს სრული ინფორმაცია ნაშრომის შემუშავების ზოგადი რეგულაციების, მათ შორის აკადემიური ეთიკის, მონაცემთა დაცვის, პლაგიატის საკითხების, ასევე ნაშრომის მომზადებასთან, წარდგენასთან და შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურების შესახებ;

დ. დახმარება აღმოუჩინოს მაგისტრანტს ნაშრომის მომზადების პროცესში წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში, ასევე ვადების განსაზღვრასა და დროის ეფექტიანად განაწილებაში, ნაშრომის შესრულების ძირითადი ეტაპების დაგეგმვაში, ნაშრომის სტრუქტურის განსაზღვრაში, კვლევისათვის საჭირო მონაცემების მოპოვებაში;

ე. განუმარტოს მაგისტრანტს მისი უფლებები და მოვალეობები.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელი ახორციელებს კონტროლს მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის გეგმის შესრულებაზე. სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია მაგისტრანტის მიერ კვლევითი კომპონენტის გეგმის დარღვევის შემთხვევაში დროულად აცნობოს სკოლის ადმინისტრაციას.

მუხლი 7. სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

1. სამაგისტრო კვლევის პროექტი წარმოადგენს სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელზე მუშაობაც მიმდინარეობს ხელმძღვანელობით განხორციელებული კვლევისა და მაგისტრანტის დამოუკიდებელი მუშაობის ფორმატში.

2. სამაგისტრო თემის წინასწარი რეგისტრაციიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში, მაგისტრანტი სამაგისტრო კვლევის პროექტს წარუდგენს სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელს, რომელსაც თან უნდა ერთოდეს თემის სამეცნიერო ხელმძღვანელის წერილობითი დასკვნა იმის შესახებ, რომ იგი გაეცნო სამაგისტრო კვლევის პროექტს და პროექტი მზად არის დასამტკიცებლად.

3. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის არქიტექტონიკა (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები) განსაზღვრულია სამაგისტრო კვლევის პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ ინსტრუქციით, რომელიც წინამდებარე წესის განუყოფელი ნაწილია **(იხ. დანართი №1).**

4. სამაგისტრო კვლევის პროექტი უნდა მოიცავდეს:

ა. შესავალს (ზოგად დახასიათებას, სიახლეს, აქტუალობას, მიზნებს, კვლევის მეთოდებს);
ბ. ძირითად საკვლევ საკითხებსა და ნაშრომის სავარაუდო სტრუქტურას;
გ. ბიბლიოგრაფიას (პირველწყაროების, სამეცნიერო და სხვა ლიტერატურის მიმოხილვას).
5. სამაგისტრო კვლევის პროექტის საჯარო პრეზენტაცია წარმოებს, სემესტრის მე-3 სასწავლო კვირაში, სკოლის დეკანის მიერ შექმნილი სპეციალური კომისიის წინაშე.
6. კომისიაში უნდა შედიოდნენ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი, მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, ასევე მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები.
7. მაგისტრანტი კომისიის წინაშე წარმოადგენს დასრულებული სახით მომზადებულ და სათანადოდ გაფორმებულ სამაგისტრო კვლევის პროექტს, PowerPoint-ის გამოყენებით მოახდენს მის საჯარო პრეზენტაციას და უპასუხებს კომისიის წევრთა დასმულ შეკითხვებს.
8. სამაგისტრო კვლევის პროექტისადმი წაყენებული შენიშვნებისა თუ რეკომენდაციების გათვალისწინება მაგისტრანტისთვის სავალდებულოა შესასრულებლად.
9. სპეციალური კომისია ხმათა უმრავლესობით განსაზღვრავს მაგისტრანტის სამაგისტრო თემას, სამეცნიერო ხელმძღვანელს და წარუდგენს სკოლის საბჭოს დასამტკიცებლად.
10. სკოლის საბჭო ამტკიცებს მაგისტრანტის სამაგისტრო თემას და სამეცნიერო ხელმძღვანელს სპეციალური კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.

თავი III. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენა

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომის წარდგენა

1. მაგისტრანტი სამაგისტრო ნაშრომის სამ აკინძულ ბეჭდურ ეგზემპლარს და მის ელექტრონულ ვერსიას (PDF ფორმატში), სემესტრის მე-16 სასწავლო კვირას, წარუდგენს სკოლის ადმინისტრაციას, რომელსაც თან უნდა ახლდეს განცხადება სკოლის დეკანის სახელზე სამაგისტრო ნაშრომის განსახილველად მიღების შესახებ.
2. წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომს თან უნდა დაერთოს მაგისტრანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერ არის შესრულებული, არ შეიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ელემენტებს, ორიგინალურია და გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.
3. კრედიტებით გაანგარიშების წესით განსაზღვრული სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაგვიანებით წარდგენის შემთხვევაში მაგისტრანტი მიმდინარე სემესტრში დასკვნით გამოცდაზე/სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე არ დაიშვება. ამასთან, მაგისტრანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის შემდგომი სემესტრიდან.
5. სკოლა ვალდებულია, სამაგისტრო ნაშრომი, წარდგენიდან 2 კალენდარული დღის ვადაში, შეამოწმოს მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით და გადამოწმების შედეგებს სამაგისტრო ნაშრომთან ერთად გადასცეს მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს.
6. მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში განიხილავს სამაგისტრო ნაშრომს და გასცემს წერილობით დასკვნას სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებაზე დაშვების ან დაუშვებლობის შესახებ.

7. სამაგისტრო ნაშრომის შესახებ მაგისტრანტის ხელმძღვანელის წერილობით დასკვნაში უნდა აღინიშნოს:
ა. მაგისტრანტის სახელი, გვარი;
ბ. სამაგისტრო ნაშრომის სათაური;
გ. სამაგისტრო თემის აქტუალობა;
დ.განხორციელებული კვლევის ხარისხი და მნიშვნელობა;
ე. ნაშრომის ძლიერი და სუსტი მხარეები;
ვ. ნაშრომის თეორიული ან/და პრაქტიკული ღირებულება;
ზ. ინფორმაცია მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამის წარმატებით გავლის შესახებ;
თ. რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ ნაშრომი მზად არის დასკვნით შეფასებაზე წარსადგენად.
8. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსების აღმომჩენი ელექტრონული პროგრამით სამაგისტრო ნაშრომის გადამოწმების შედეგად მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს უჩნდება ეჭვი სამაგისტრო ნაშრომში აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის არსებობის შესახებ, იგი ვალდებულია სკოლის ადმინისტრაციას წარუდგინოს წერილობითი დასკვნა აღნიშნულის თაობაზე.
9. ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლის დეკანი ნიშნავს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისიას და პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღს.

მუხლი 9. აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია
1. აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმების კომისია შედგება სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი მქონე სკოლის აკადემიური პერსონალის არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრისგან.
2. მაგისტრანტს წერილობითი ფორმით ეგზავნება შეტყობინება პლაგიატის საკითხის განხილვის თარიღის შესახებ. მაგისტრანტს უფლება აქვს დაესწროს საკითხის განხილვას და ისარგებლოს სიტყვის უფლებით. მაგისტრანტს უფლება აქვს მიაწოდოს კომისიას თავის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები საკუთარი პოზიციის დასაცავად.
3. კომისია იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, რომელიც წერილობითი სახით ეცნობება სკოლის ადმინისტრაციას და მაგისტრანტს.
4. წარდგენილ სამაგისტრო ნაშრომში, პლაგიატის დადასტურების შემთხვევაში, მაგისტრანტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი წყდება „სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

თავი IV. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგია
1. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის შემადგენლობის (მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარის) და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დეკანი, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით.
2. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 (ხუთი) წევრისგან, მათ შორის არანაკლებ ერთი წევრი უნდა იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი.
3. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის წევრს უნდა ჰქონდეს სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი, მაგისტრანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ

მიმართულებაში კვლევის გამოცდილება და შესაბამისი პუბლიკაციები.

მუხლი 11. სამაგისტრო ნაშრომის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის შესაფასებლად გამოიყენება შეფასების შემდეგი მეთოდები:
ა. ნაშრომის შინაარსობრივი მხარე (წერითი კომპონენტი);
ბ. ნაშრომის პრეზენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა (ზეპირი კომპონენტი);
2. სამაგისტრო ნაშრომის წერითი კომპონენტი (შინაარსობრივი მხარე) ფასდება 60 ქულით, ხოლო ზეპირი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა) – 40 ქულით.
3. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის წევრები დამოუკიდებელნი არიან შეფასების პროცესში.
4. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის წევრები უზრუნველყოფენ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის, მისი საჯარო პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის შეფასებას, წინამდებარე აქტით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

მუხლი 12. სამაგისტრო ნაშრომის წერითი კომპონენტის შეფასება

1. სკოლა ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომების ელექტრონული ვერსიები (PDF ფორმატში) გაუგზავნოს შემფასებელთა კოლეგიის წევრებს, კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის წევრები ვალდებულნი არიან შეაფასონ გადაცემული სამაგისტრო ნაშრომების შინაარსობრივი მხარე, ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად და ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასება სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტის შეფასების დაწყებამდე წარუდგინონ კოლეგიის თავმჯდომარეს.
3. სამაგისტრო ნაშრომის წერითი კომპონენტის (ნაშრომის შინაარსობრივი მხარის) შესაფასებლად გამოიყენება შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

0-60 ქულა	სამაგისტრო ნაშრომის წერითი კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები
0-10	საკვლევი თემის სიახლე და პრობლემის აქტუალობა
0-10	მოძიებული ინფორმაციის ანალიზი და შეფასება
0-10	საკუთარი იდეები, პოზიციები, დასკვნები და შედეგები
0-10	კვლევის მეთოდები და მეთოდოლოგია
0-10	შერჩეული მასალა. პირველწყაროები, ლიტერატურა
0-10	აკადემიური წერის კულტურა, ინფორმაციის ეთიკურად გამოყენება

შენიშვნა: 0 = სილაბუსით წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; 1-2 = წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 3-4 = ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; 5-6 = წაყენებულ მოთხოვნებს ძირითად აკმაყოფილებს; 7-8 = წაყენებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს; 9-10 = წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

მუხლი 13. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტის შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტების შესაფასებლად ინიშნება სამაგისტრო ნაშრომის დაცვა, სამაგისტრო ნაშრომის დაცვის თარიღის შესახებ სკოლის დეკანის მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის შემდეგ.
2. სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არის საჯარო. ინფორმაცია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის (შესაბამისი სკოლის) ვებგვერდზე სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მინიმუმ 3 (სამი) დღით ადრე.
3. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის ერთ სხდომაზე შეიძლება დაინიშნოს მაქსიმუმ 5 (ხუთი) სამაგისტრო ნაშრომის დაცვა. ამასთან, სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგია უფლებამოსილია თუ დაცვას ესწრება კოლეგიის წევრთა 2/3-ზე მეტი მაინც.
4. სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე თითოეული მაგისტრანტი გამოიცდება ინდივიდუალურად. თითოეული მაგისტრანტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 50 წუთს.
5. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სხდომაზე შემფასებელთა კოლეგიის თავმჯდომარე აცხადებს მაგისტრანტის ვინაობას და სამაგისტრო ნაშრომის თემას.
6. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი უფლებამოსილია დაესწროს დაცვას, მაგრამ არ შეიძლება იყოს კომისიის წევრი.
7. იმ შემთხვევაში, თუ მაგისტრანტი დოკუმენტურად დასაბუთებული საპატიო მიზეზით ვერ გავიდა სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე, ან სამაგისტრო ნაშრომის დაცვა არ შედგა კოლეგიის კვორუმის არარსებობის გამო, ან დაცვა არ შედგა მაგისტრანტისაგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების გამო, სკოლის დეკანის მიერ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კოლეგიის დამატებითი სხდომა ინიშნება იმავე სასწავლო სემესტრში.
8. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის პროცესი ითვალისწინებს მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, დისკუსიაში მონაწილეობას, სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტების შეფასებასა და სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებას.
9. მაგისტრანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაცია გულისხმობს მაგისტრანტის მოხსენებას – თემის წარმოდგენას, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს.
10. კომისიის თავმჯდომარის წინადადებით მაგისტრანტი კომისიას მოახსენებს თავისი ნაშრომის ძირითად დებულებებს და მიღებულ შედეგებს, მკაფიოდ აყალიბებს სიახლეს, წარმოაჩენს განხორციელებული სამეცნიერო-კვლევის შედეგებს.
11. ნაშრომის პრეზენტაციისას მაგისტრანტმა უნდა გამოიყენოს თვალსაჩინო მასალა – მაგალითად: სლაიდები, პლაკატები და ა.შ.
12. ნაშრომის პრეზენტაციის შემდეგ იმართება დისკუსია, რომლის ხანგრძლივობა, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს. მაგისტრანტი პასუხებს როგორც კომისიის წევრთა, ასევე დამსწრე საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვებს.
13. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის წევრები ვალდებულნი არიან შეაფასონ სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია და დისკუსიაში მონაწილეობა) კონფიდენციალურად, დახურულ სხდომაზე, ამ მუხლის მე-14 პუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.
14. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციისა და დისკუსიაში მონაწილეობის (ზეპირი კომპონენტის) შესაფასებლად გამოიყენება შეფასების შემდეგი კრიტერიუმები:

0-40 ქულა	სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები
0-10	კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების წარმოჩენა
0-10	დისკუსიაში მონაწილეობა და საკუთარი პოზიციის დაცვა
0-10	საპრეზენტაციო მასალების გაფორმების ვიზუალური მხარე
0-10	მიწოდების ტექნიკა

შენიშვნა: შეფასება 0-10-ის ფარგლებში – 0 = სილაბუსით წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს; 1-2 = წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს; 3-4 = ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს; 5-6 = წაყენებულ მოთხოვნებს ძირითად აკმაყოფილებს; 7-8 = წაყენებულ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს; 9-10 = წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება.

მუხლი 14. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება

1. სამაგისტრო ნაშრომის ზეპირი კომპონენტების შეფასების შემდეგ, შემფასებელთა კოლეგიის თავმჯდომარე, კოლეგიის დახურულ სხდომაზე, განსაზღვრავენ სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებას.
2. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება მთლიანობაში, ერთიანად – დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს კოლეგიის წევრების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარის შეფასებასა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას.
3. სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასება განისაზღვრება მიღებული ქულების საშუალო არითმეტიკულით (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
4. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
5. შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;
დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

6. შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა;
ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების საფუძველი ასევე შეიძლება გახდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის (პლაგიატის) გამოვლენის ფაქტი.
8. წინამდებარე წესის მიზნებისათვის აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის სახეებია:

ა. პლაგიატი, რაც გულისხმობს გამიზნულად თუ უნებლიედ სხვისი ნაშრომის (იდეების, ცნებების, ფორმულების, გრაფიკების, ცხრილების, გამოსახულებების, დიზაინის და სხვა) საკუთრად წარმოჩენასა და გავრცელებას ავტორის/წყაროს შესაბამისად მითითების (საჭიროების შემთხვევაში, ნებართვის) გარეშე;
ბ. თვითპლაგიატი, რაც გულისხმობს სხვა ნაშრომში გამოთქმული საკუთარი მოსაზრებების გამეორებას ორიგინალური წყაროს მითითების გარეშე, ან საკუთარი ნაშრომის ორჯერ ან მეტჯერ წარდგენას სხვადასხვა დავალების ფარგლებში;

გ. კომპილაცია, რაც გულისხმობს საკუთარი დამუშავებისა და ინტერპრეტაციის გარეშე საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების/ნაშრომების გამოყენებას და დაჯგუფებას;
დ. ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია, რაც გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.
9. სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიის თავმჯდომარე სხდომის დასრულებისთანავე საჯაროდ აცხადებს სამაგისტრო ნაშრომის დასკვნით შეფასებას.

მუხლი 15. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების შედეგები

1. მაგისტრანტს სამაგისტრო ნაშრომის დაცვისა და პროგრამით განსაზღვრული ყველა კომპონენტის შესრულების შემდეგ, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, რაც დასტურდება უნივერსიტეტის მიერ სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დიპლომის დანართის გაცემით.
2. დიპლომს ხელს აწერს სკოლის დეკანი და უნივერსიტეტის რექტორი.
3. წინამდებარე წესის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.
4. წინამდებარე წესის მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლებას. მაგისტრანტმა დამატებით სასწავლო სემესტრში უნდა გაიაროს სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია და შეიმუშაოს ახალი სამაგისტრო ნაშრომი წინამდებარე წესის შესაბამისად.

მუხლი 16. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია)

1. თუ მაგისტრანტი არ ეთანხმება დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასებას ან მიიჩნევს, რომ დარღვეულია სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმები, მას უფლება აქვს, დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის შეფასების გამოცხადებიდან 4 (ოთხი) კალენდარული დღის ვადაში, წერილობით მიმართოს სკოლის დეკანს და გაასაჩივროს სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება.
2. მაგისტრანტის საჩივარი უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული გასაჩივრების საგანი და გამსაჩივრებლის არგუმენტები. ამასთან, გასაჩივრების საგანი შეიძლება იყოს:
ა. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასება, რომელიც მოიცავს დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის როგორც წერითი კომპონენტის (ნაშრომის შინაარსობრივი მხარე), ასევე ზეპირი კომპონენტის (ნაშრომის საჯარო პრეზენტაცია და მაგისტრანტის დისკუსიაში მონაწილეობა) შეფასებას. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის მხოლოდ ზეპირი კომპონენტის შეფასების გასაჩივრება დაუშვებელია;
ბ. სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმების დარღვევა.

3. საჭიროების შემთხვევაში, მაგისტრანტის დასაბუთებული საჩივრის საფუძველზე, სკოლის დეკანი იღებს გადაწყვეტილებას აპელაციის განხილვის თარიღისა და სააპელაციო კომისიის შემადგენლობის (მათ შორის, კომისიის თავმჯდომარის) დამტკიცების შესახებ.
4. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს სამართლის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორებისაგან.
5. სააპელაციო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრისგან. ამასთან, კომისიის შემადგენლობის მინიმუმ ერთი წევრი უნდა იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელი. კომისიის წევრი არ უნდა იყოს ნაშრომის ხელმძღვანელი, ან თავდაპირველი დაცვის კომისიის წევრი.
6. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერით კომპონენტს, წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის მიღებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის განმავლობაში.
7. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასებისათვის სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
8. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასება, აღემატება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებას, სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით ინიშნება დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ზეპირი კომპონენტის შეფასების თარიღი.
9. სააპელაციო კომისიის წევრები ინდივიდუალურად აფასებენ დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ზეპირ კომპონენტს, წინამდებარე წესით დადგენილი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესაბამისად.
10. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ზეპირი კომპონენტის საბოლოო შეფასებისათვის სააპელაციო კომისიის თავმჯდომარეს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული (მიღებული ქულების ჯამი გაყოფილი კომისიის წევრთა რაოდენობაზე).
11. დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასება წარმოადგენს წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასებისა და ზეპირი კომპონენტების საბოლოო შეფასების ჯამს.
12. იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისიის წევრების მიერ დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წერითი კომპონენტის საბოლოო შეფასება, არ აღემატება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის შეფასებას, ზეპირი კომპონენტის განმეორებითი შეფასება არ ხდება და დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასება განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის საბოლოო შეფასებით.
13. თუ მაგისტრანტის აპელაცია შეეხება სამაგისტრო ნაშრომის დაცვის რეგლამენტის პროცედურული ნორმების დარღვევებს, სკოლის დეკანი მოისმენს როგორც მაგისტრანტის, ასევე დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის კომისიის წევრების არგუმენტებს და საკმარისი საფუძვლების არსებობისას იღებს გადაწყვეტილებას დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის საბოლოო შეფასების ბათილად ცნობისა და სამაგისტრო ნაშრომის დაცვის ახალი კომისიის შექმნის შესახებ.

მუხლი 17. სამაგისტრო გამოცდის ბათილობა

მაგისტრის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემის შემდეგ თუ გამოვლინდა აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის ფაქტი ან ცნობილი გახდა კოლეგიის წევრზე დაუშვებელი ხერხებით შეფასების მიღების მცდელობის ფაქტი, ეს სამაგისტრო ნაშრომის დასკვნითი შეფასების ბათილად გამოცხადების, სამაგისტრო დიპლომის ჩამორთმევისა და მინიჭებული ხარისხის გაუქმების საფუძველია.

თავი V. დასკვნითი დებულებები

მუხლი 18. მინიმალური სტანდარტის ამოქმედება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
2. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესს ამტკიცებს სკოლის საბჭო, სკოლის დეკანის წარდგინებით.
3. სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესში ცვლილებისა და დამატების შეტანა, ისევე როგორც მისი გაუქმება წარმოებს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

დანართი №1.

ინსტრუქცია სამაგისტრო კვლევის პროექტისა და სამაგისტრო ნაშრომის ტექნიკური მონაცემების შესახებ

მუხლი 1. ინსტრუქციის მოქმედების სფერო

წინამდებარე ინსტრუქცია განსაზღვრავს სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მაგისტრანტების მიერ სამაგისტრო კვლევის პროექტის და სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების წესს (მოცულობა, ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები).

მუხლი 2. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტებისადმი წაყენებული ზოგადი მოთხოვნები

1. სამაგისტრო კვლევის პროექტის და სამაგისტრო ნაშრომის ტექსტი, ძირითადად, უნდა გადმოიცეს მესამე პირში, ავტორი საკუთარი პოზიციის გამოსახატავად მაქსიმალურად უნდა მოერიდოს პირველ პირში თხრობას.
2. სიტყვის, სახელწოდების, სათაურის შემოკლება სამაგისტრო ნაშრომის ტექსტსა და სქოლიოში დაუშვებელია, გარდა საყოველთაოდ მიღებული შემოკლებებისა (მაგ.: პარაგრაფი – §, მაგალითად – მაგ.., იხილე – იხ., შეადარე – შეად. და ა.შ.).
3. სამაგისტრო კვლევის პროექტში და სამაგისტრო ნაშრომში აბრევიატურის გამოყენების პირველ შემთხვევაში ის უნდა იყოს გაშიფრული, რის შემდეგაც ფრჩხილებში მიეთითება აბრევიატურა, რომელიც შემდგომ იქნება გამოყენებული (მაგ., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში – „გსკ“); ამავე პრინციპით, ხშირად გამოყენებულ კონვენციათა, კანონთა თუ სხვათა სახელწოდებები შემოკლდება საკვანძო სიტყვის მიხედვით, ანუ მისი გამოყენების პირველ შემთხვევაში ის მოხსენიებული უნდა იყოს სრულად ფრჩხილებში კი მიეთითება საკვანძო სიტყვა (მაგ., ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (შემდგომში – „კონვენცია“).
4. სამაგისტრო კვლევის პროექტში და სამაგისტრო ნაშრომში უნდა გაირჩეს ტირესა და დეფისის გამოყენება. დეფისი არის მოკლე ხაზი (-), რომლის წინ და შემდეგ არ არის ინტერვალი, ტირე კი უფრო გრძელი ხაზია (–) და მის წინ და შემდეგ აუცილებელია ინტერვალის დაცვა.

მუხლი 3. სამაგისტრო კვლევის პროექტის მოცულობა და სტრუქტურა

1. სამაგისტრო კვლევის პროექტი უნდა შესრულდეს ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების გარეშე.
2. სამაგისტრო კვლევის პროექტი მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 1 500 და არაუმეტეს 1 600 სიტყვისა, გაფორმებული წარმოდგენილი ინსტრუქციის შესაბამისად. რაოდენობაში იგულისხმება ყველა აკინძული გვერდი.
3. სამაგისტრო კვლევის პროექტის ყველა გვერდი უნდა იქნეს დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.
4. სამაგისტრო კვლევის პროექტის ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე შრიფტით – Sylfaen, ზომით 12. გვერდის ნომრებისა და სქოლიოს შრიფტის მინიმალური ზომაა – 10. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. სამაგისტრო კვლევის პროექტის ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5.
5. სამაგისტრო კვლევის პროექტის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.

6. სამაგისტრო კვლევის პროექტის ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებული ხარისხით.

მუხლი 4. სამაგისტრო ნაშრომის ფორმატი, სტილი და სხვა ტექნიკური მონაცემები

1. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა, როგორც წესი, უნდა იყოს არანაკლებ 50 და არაუმეტეს 60 გვერდისა.
2. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ2 სიმკვრივის ქაღალდზე. ორიენტაცია – ვერტიკალური. ბეჭდვა უნდა წარმოებდეს მხოლოდ ერთ გვერდზე. ფოტოსურათები და სხვა განსაკუთრებული დანიშნულების ცხრილები შესაძლებელია შესრულებულ იქნას A4 ფორმატის ფოტოგრაფიულ ქაღალდზე. უფრო დიდი თაბახის გამოყენების შემთხვევაში (მაგ. სქემებისათვის) დასაშვებია ნებისმიერი ფორმატის გამოყენება, მხოლოდ აღნიშნული გვერდები არ უნდა აიკინძოს ძირითად ტექსტთან ერთად.
3. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის მარცხენა მხარეს უნდა დარჩეს – 38 მმ მინდორი, ხოლო დანარჩენ მხარეებს – 25 მმ.
4. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს Sylfaen-ის შრიფტით, ზომით 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროვებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტის ბეჭდვა უნდა განხორციელდეს ლაზერულ პრინტერზე ან მასთან მიახლოებულ ხარისხით.
5. სამაგისტრო ნაშრომის ყველა გვერდი უნდა იქნას დანომრილი თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება. ასევე დაუშვებელია გვერდების განმეორება. გვერდის ნომრების შრიფტის მინიმალური ზომა არის 10. შესავალი გვერდები, გარდა სატიტულო გვერდისა, ინომრება ქვედა მარჯვენა კიდეში დაბალი რეგისტრის რომაული ციფრებით (i, ii, iii და ა. შ.). სამაგისტრო ნაშრომის სხვა დანარჩენი ნაწილი ინომრება არაბული ციფრებით. გვერდის ნომერი ფურცლის ქვედა კიდიდან დაშორებული უნდა იყოს 1.3 სმ–ით, ხოლო მარჯვენა კიდიდან 2.5 სმ-ით.
6. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტისთვის ინტერვალი არის 1.5. მცირე ზომის სექციებისთვის (შინაარსი, ცხრილების ნუსხა, რეზიუმე, სქოლიო, შენიშვნა და სხვა) აიღება ინტერვალი 1.
7. სამაგისტრო ნაშრომის ყველა თავის და ქვეთავის დასახელება უნდა იქნას ჩართული სარჩევში. თავებისა და ქვეთავების შრიფტის ზომა შეიძლება აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომას. ყველა თავი უნდა იწყებოდეს ახალი გვერდიდან, ხოლო ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან.
8. სამაგისტრო ნაშრომში ლიტერატურის ციტირება უნდა წარმოებდეს ძირითად ტექსტში (როგორც წესი, აბზაცის ბოლოს) კვადრატულ ფრჩხილებში არაბული ციფრებით. შრიფტი უნდა იყოს ტექსტის შესაბამისი ზომის. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა იქნას მოყვანილი სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს.
9. სამაგისტრო ნაშრომში სქოლიო შეიძლება განთავსდეს გვერდის ან თავის/ქვეთავის ბოლოს. შრიფტის ზომა – 10 პუნქტი. თუ სქოლიო განთავსებულია თავის ბოლოს, მაშინ ნუმერაცია წარმოებს არაბული ციფრებით და მთელი თავის განმავლობაში თანმიმდევრულია. სქოლიოს გვერდის ბოლოში განთავსებისას ნუმერაცია წარმოებს სიმბოლოებით ან არაბული ციფრებით, რომელიც შესაძლებელია დაიწყოს ყოველ გვერდზე თავიდან. ძირითად ტექსტში სქოლიოს მითითება წარმოებს ხარისხის რეგისტრის სიმბოლოებით.

მუხლი 5. სამაგისტრო ნაშრომის შემადგენელი ნაწილები

1. სამაგისტრო ნაშრომის აუცილებელი შემადგენელი ნაწილებია:
ა. თავფურცელი (სატიტულო ფურცელი);
ბ. ავტორის ხელმოწერის გვერდი;
გ. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერის გვერდი;
დ. რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე;
ე. შინაარსი;
ვ. ძირითადი ტექსტი:
ვ.ა. შესავალი;
ვ.ბ. ლიტერატურის მიმოხილვა;
ვ.გ. შედეგები და მათი განსჯა;
ვ.დ. დასკვნა;
ზ. ბიბლიოგრაფია ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
თ. დანართები (არსებობის შემთხვევაში).
2. სამაგისტრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილებია: ცხრილების ნუსხა; გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა; ანბანური საძიებელი; დანართები.

მუხლი 6. სამაგისტრო ნაშრომის შესავალი ნაწილი

1. სამაგისტრო ნაშრომის სატიტულო გვერდი (გარე ყდა) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. იგი აუცილებლად უნდა მოიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას, მაგისტრანტის გვარს, სახელს და ტექსტს „წარდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, „თბილისი, 0159, საქართველო“. მასზე ასევე უნდა განთავსდეს თვე და წელი, როდესაც არის დანიშნული სამაგისტრო ნაშრომის მოხსენება. აღნიშნული გვერდის ნომერი არის (i), თუმცა იგი არ მიეთითება.
2. სამაგისტრო ნაშრომის ავტორის ხელმოწერის გვერდი (გვერდი (ii)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერა. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, „სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა“, „ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას. სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული ავტორის ხელმოწერით.
3. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის ხელმოწერის გვერდი (გვერდი (iii)) უნდა იყოს სტანდარტული ფორმის. სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ორიგინალს უნდა ჰქონდეს ორიგინალური ხელმოწერები. აღნიშნულ გვერდს უნდა შეიცავდეს სამაგისტრო ნაშრომის სტანდარტული ვერსიის ყველა ეგზემპლარი. აღნიშნული გვერდი უნდა მოიცავდეს ტექსტს: „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“, „სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლა“, „ვადასტურებ, რომ გავეცანი [გვარი სახელი] მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: [დასახელება] და ვაძლევთ რეკომენდაციას შავი ზღვის

საერთაშორისო უნივერსიტეტის სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის სამაგისტრო ნაშრომის შემფასებელთა კოლეგიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად“, თარიღი. იგი უნდა იყოს დამოწმებული სამეცნიერო ხელმძღვანელის ხელმოწერით.

4. სამაგისტრო ნაშრომის რეზიუმე უნდა მოიცავდეს მის მოკლე მიმოხილვას. მასში მკაფიოდ უნდა იყოს გადმოცემული შესრულებული სამუშაოს მოკლე შინაარსი და ძირითადი მიღწევები. როგორც წესი, რეზიუმე არ შეიცავს სქოლიოს, ცხრილებს, ნახაზებს, სქემებს, და სხვა. რეზიუმეს მოცულობა უნდა იყოს 250-დან 400 სიტყვამდე. სტრიქონებს შორის ინტერვალი აიღება ერთის ტოლად.

5. სამაგისტრო ნაშრომი უნდა შეიცავდეს სარჩევს (შინაარს). ინტერვალი უნდა იყოს 1. შრიფტის ზომა – 12 პუნქტი. აბზაცებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 6-12 პუნქტი. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „ .“, „–“, „_“.

მუხლი 7. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი

1. სამაგისტრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და სხვადასხვა დონის ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ლიტერატურის მიმოხილვას, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას.

2. სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას ნაშრომში დასმული პრობლემის მეცნიერული სიახლე, აქტუალობა და პრაქტიკული მნიშვნელობა. მასში მოკლედ და ლაკონიურად უნდა იქნას დასმული ის პრობლემა, რომლის გადაწყვეტისათვისაც არის მიძღვნილი სამაგისტრო ნაშრომი. თითოეული ფრაზა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მოკლე და ინფორმაციული, რადგან იგი განკუთვნილია დარგის ვიწრო სპეციალისტებისათვის და არა მკითხველთა ფართო მასისათვის. შესავლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 5%-ს.

3. ლიტერატურის მიმოხილვაში დასმული და პასუხგაცემული უნდა იქნა შემდეგი კითხვები:

ა. საიდან მომდინარეობს სამაგისტრო ნაშრომში დასმული პრობლემა?

ბ. რა არის უკვე ცნობილი ამ პრობლემის შესახებ?

გ. რა ალტერნატიული მეთოდებია უკვე შემუშავებული დასმული პრობლემის გადაჭრისათვის?

დ. რა ნაკლოვანებები აქვს ცნობილ მეთოდებს და რა ნაკლოვანებებია აღმოფხვრილი წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში?

4. ლიტერატურის მიმოხილვაში ძირითადად აქცენტი უნდა გაკეთდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ მასალაზე (თუ სამაგისტრო ნაშრომი არ ეძღვნება ისტორიული ხასიათის პრობლემას). ლიტერატურის მიმოხილვის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი ტექსტის მოცულობის 3%-ს.

5. შედეგების განსჯის სტრუქტურა დამოკიდებულია სამაგისტრო ნაშრომის თემატიკაზე და ავტორს უფლება აქვს იგი წარმოადგინოს მისთვის სასურველი ფორმით. იგი არ არის შეზღუდული ქვეთავების რაოდენობით.

6. სამაგისტრო ნაშრომი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იქნას მოკლედ და ლაკონიურად.

მუხლი 8. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა

1. გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა კონსოლიდირებული სახით უნდა იყოს წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ბოლოს და ნუმერირებული. ლიტერატურული წყაროს მითითებისას უნდა იქნას დაცული შემდეგი სტილი:

ა. ჟურნალის (გაზეთის) სტატია: გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სრული სათაური (უბრჭყალებოდ). ჟურნალის სრული დასახელება ან აბრევიატურა (ქართულენოვანი გაზ./ჟურნ.-ის შემთხვევაში ბრჭყალებში, უცხოენოვანი გაზ./ჟურნ.-ის შემთხვევაში ბრჭყალების გარეშე), წელი, ტომი, [ნომერი,] გვ. დასაწყისი-დასასრული (გვ.-ს გარეშე). მაგ. 1. Bassiouni M.Ch. A Draft International Criminal Code and Draft Statute for an International Criminal Court. J. Connecticut Insurance Law Journal Association at the University of Connecticut School of Law, 2019, 3, 6, 378-389; მაგ. 2. მგელაძე თ., პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა აშშ-ის, გერმანიისა და საქართველოს სამართლის დოქტრინაში, „სამართლის ჟურნალი“, № 2, 2018, 56-57; მაგ. 3. ბაინდურაშვილი ნ., სამოხელეო დავის განხორციელების სპეციფიკა, სამართლებრივი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, № 3(38), 2013, 116.

ბ. წიგნი: [ცალკეული გვერდების მითითებისას] გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. წიგნის სრული სათაური (უბრჭყალებოდ). [ნაწილი, ნაკვეთი, ტომი]. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, გვერდის დასაწყისი-დასასრული (გვ.-ს გარეშე). მაგ. 1. Dixon M. International Law. Oxford University Press, 2019, 45-123; მაგ. 2. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, მე-2 გამოც., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2018, 24.

გ. წიგნი: [მთლიანი წიგნის მითითებისას] გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. წიგნის სრული სათაური (უბრჭყალებოდ). [ნაწილი, ნაკვეთი, ტომი]. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, გვერდების რაოდენობა. მაგ. 1. Dixon M. International Law. Oxford University Press, 2019, 393.

დ. ინფორმაციის გლობალური ქსელი: სტატიის შემთხვევაში უნდა მიეთითოს ავტორის გვარი ინიციალი. [ინიციალი]. სრული სათაური (უბრჭყალებოდ), ვებგვერდის დასახელება, უკანასკნელად გადამოწმების რიცხვი, თვე, წელი. სამკუთხედ ფრჩხილებში (<....>) მიეთითება ვებგვერდის დასახელება, კვადრატულ ფრჩხილებში ([...]) კი უკანასკნელად გადამოწმების თარიღი. სამკუთხედ და კვადრატულ ფრჩხილთა შორის მძიმე არ დაისმება. მაგ. 1. Crawford J. The ILC's Draft Statute for an International Criminal Tribunal <https://www.cambridge.org/core/journals/american-journal-of-international-law/article/ilcs-draft-statute-for-an-international-criminal-tribunal/ED43650C2A7FBD3F88524F4562BD6AAC>[05.03.2021].

ე. კრებულის სტატია: სტატიის ავტორის გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. სტატიის სრული სათაური (უბრჭყალებოდ). კრებულის სახელწოდება (უბრჭყალებოდ), მითითებით, თუ ვისი რედაქციით გამოდის, [ნაწილი, ნაკვეთი, ტომი]. გამოცემის ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა (გვ.-ს გარეშე). მაგ. 1. თოდუა ნ., სისხლის სამართლის კანონმდებლობის ლიბერალიზაციის ზოგიერთი ასპექტი. მზია ლეკვეიშვილი 85. საიუბილეო კრებული. ივანიძე მ. რედ., გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, თბ., 2014, 72-87; მაგ. 2. ბურდული ი., საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, კრებულში: თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, ელიზბარაშვილი ნ. (რედ.),

თბ., 2009, 236; მაგ. 3. Kennedy D., The Politics and Methods of Comparative Law, The Common Core of European Private Law, Essays on the Project, Mattei U., Bussani M. (eds.), Hague, 2002, 143.

3. ნათარგმნი წყარო: შესაბამისი ნაშრომის ავტორის გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. ნაშრომის სრული სათაური (უბრჭყალებოდ). [ნაწილი, ნაკვეთი, ტომი], მთარგმნელის გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. ფრჩხილებში მიეთითება მისი სტატუსი (მთარგმნელი/მთარგმნელები), რედაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში „რედ" ფრჩხილებში) გვარი ინიციალი. [ინიციალი]., [გვარი] [ინიციალი.] [ინიციალი]. გამოცემის ადგილი: გამომცემლობა. წელი, გვერდების რაოდენობა. მაგ. 1. კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმნელები), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), მე-13 გამოც., გამომცემლობა „იურისტების სამყარო", 2014, 728.

2. უცხოური წყაროების ყველა ბიბლიოგრაფიული ელემენტი უნდა მიეთითოს ორიგინალის ენაზე, ან იმ ენაზე, რომელზეც მას ეცნობა ავტორი (შესაბამისი ოფიციალური თარგმანის მითითებით).
3. ბიბლიოგრაფიაში ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში უპირველესად უნდა განთავსდეს ქართულენოვანი ნორმატიული მასალა (მიღების თარიღის მითითებით), შემდეგ – ქართულენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა ანბანური წესით. ქართულენოვან სამეცნიერო წყაროებს უნდა მოსდევდეს ქართულენოვანი სასამართლო გადაწყვეტილებები მიღების თარიღის შესაბამისად (უახლესიდან უძველესისკენ). ქართულენოვანი წყაროების შემდეგ შესაბამისი თანმიმდევრობის დაცვით, მიეთითება უცხოენოვანი ნორმატიული მასალა, სამეცნიერო წყაროები, ელექტრონული ბმულები და უცხოური სასამართლო გადაწყვეტილებები.
4. სამაგისტრო ნაშრომში ერთი და იმავე წყაროს რამდენჯერმე გამოყენებისა და სხვადასხვა გვერდების მითითების შემთხვევაში, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხაში (ბიბლიოგრაფიაში) ერთხელ მიეთითება შესაბამისი წყარო და ყველა იმ გვერდის ჩამონათვალი (გამოყოფილი მძიმით), რომელთა გამოყენებაც განხორციელდა ნაშრომში.
5. ლიტერატურის ნუსხაში გვერდები ინომრება თანმიმდევრულად ძირითად ტექსტთან ერთად, სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს – 1, აბზაცებს შორის ინტერვალი 6-12 პუნქტი, ხოლო შრიფტის ზომა 12 პუნქტი.

მუხლი 9. სამაგისტრო ნაშრომში სქოლიოს გაფორმების წესი
1. ავტორმა სქოლიოში უნდა მიუთითოს თავის მიერ მოყვანილი ციტატებისა და ფაქტობრივი გარემოებების წყარო. სათანადოა მითითება, თუ ციტატა ჩასმულია ბრჭყალებში და სქოლიო გაფორმებულია წინამდებარე ინსტრუქციის მიხედვით. პერიფრაზის ან ცალკეული აზრის ფორმირების წყაროს მითითებისას გამოიყენება შესაბამისი სიტყვა: „იხილეთ ციტირება" (იხ. ციტირება) ან „შეადარე" (შეად.). „შეადარე" გამოიყენება მაშინ, თუ ავტორს სჭირდება განსხვავებულ აზრზე მითითება. ქართული ტექსტისთვის უნდა იქნეს გამოყენებული „ქვედა" და „ზედა" („...") ბრჭყალები, უცხოენოვანი ტექსტისთვის – "ზედა" ("...") ბრჭყალები.
2. ციტირებული ტექსტის ბოლოს სასვენი ნიშნები – წერტილი, ორწერტილი, წერტილ-მძიმე, კითხვისა და ძახილის ნიშნები – დაისმის ბრჭყალის წინ, როცა ისინი ასრულებენ წინადადებას, და ბრჭყალის შემდეგ, კონტექსტის მიხედვით, თუ ეს ბრჭყალი ეკუთვნის ცალკეულ სიტყვას ან

ფრაზას.
3. სამაგისტრო ნაშრომის ძირითად ტექსტში დასაშვებია მხოლოდ ნაშრომის სათაურთან უშუალო კავშირში მყოფი ან დასახული მიზნის მისაღწევად აუცილებელი ინფორმაციისა თუ ანალიზის მითითება. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიეთითოს სქოლიოში. უცხოური ტერმინები და გამოთქმები უნდა გადმოიცეს სქოლიოში, თუ ნაშრომის უშუალო მიზანი არ არის ტერმინის წარმოშობის დადგენა.
4. სამაგისტრო ნაშრომში სამართლებრივი აქტის გამოყენებისას აუცილებელია სქოლიოში მიეთითოს მისი სრული დასახელება, მუხლი, ნაწილი/პუნქტი/ქვეპუნქტი და წყარო, რომელშიც ის გამოქვეყნდა, აგრეთვე თარიღი და გვერდი (მაგ., საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995 ან Constitution of Spain, 31/10/1978).
5. სამაგისტრო ნაშრომში ძალადაკარგული სამართლებრივი აქტის გამოყენების შემთხვევაში, აუცილებელია, აქტისთვის დადგენილი წესით მითითებული ინფორმაციის ბოლოს ფრჩხილებში მიეთითოს აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თარიღი და სიტყვა „ძალადაკარგულია“ (მაგ., საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“, მე-7 მუხლი, პარლამენტის უწყებანი 45, 21/11/1997 (ძალადაკარგულია, 27/10/2021)).
6. ლიტერატურული წყაროების გამოყენებისას სქოლიოში აუცილებელია ერთიანი სისტემის დაცვა. შესაძლებელია ავტორი და ნაშრომის სათაური გამოიკვეთოს სიტყვათა სხვადასხვა დახრილობით (მაგ., ავტორი – დახრით (იტალიკით), დანარჩენი ინფორმაცია - გამართულად, ასევე დახრით შეიძლება მიეთითოს ყველა გამოყენებული გვარი, მაგ., რედაქტორის, ასევე თავად სიტყვა „რედაქტორის“ შემოკლება (რედ.)). ამავე დროს, ყველა ერთეული (გარდა გვარისა და სახელის ინიციალისა) ერთმანეთისაგან გამოიყოფა მძიმით და სქოლიოს ბოლოს დაისმის წერტილი.
7. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში საერთაშორისო სასამართლოსა და სხვა ქვეყნების სასამართლოების საქმეების და მათი გადაწყვეტილებების სახელწოდებები გამოიყენება ქართულად, სრულად კი ორიგინალის ენაზე მიეთითება სქოლიოში შემდეგი თანმიმდევრობით: მხარე მხარის წინააღმდეგ, წელი, გამომქვეყნებელი ორგანო, გვერდი, სასამართლო. მაგ. 1. Court of Justice. მაგ.: Case 16/62, Van Gend en Loos, [1963] ECR 95; მაგ. 2. European Court of Human Rights. მაგ.: Kostovski v. The Netherlands, [1990] ECHR (Ser. A.), 221; მაგ. 3. International Court of Justice . მაგ.: Maritime Delimitation and Territorial Questions Between Qatar and Bahrain, [1995] ICJ Reports; მაგ. 4. დიდი ბრიტანეთის სასამართლოებისთვის. ტექსტში მაგ.: საქმე არგილი არგილის წინააღმდეგ, ხოლო სქოლიოში მაგ.: Argyll v. Argyll, [1967] 1Ch 302,324, 332; მაგ. 5. აშშ-ის სასამართლოებისთვის. ტექსტში მაგ.: საქმე ბრაუნი განათლების საბჭოს წინააღმდეგ, ხოლო სქოლიოში მაგ.: Brown v. Board of Education, (1954), 347 US 483.
8. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში ან სქოლიოში საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების გამოყენებისას აუცილებელია ავტორმა დაიცვას შემდეგი სტილი: 1. გადაწყვეტილება გამოქვეყნებულია; 2. შესაძლებელია მისი გაცნობა ოფიციალურ ელექტრონულ წყაროში; 3. ხელმისაწვდომია მხოლოდ სასამართლო არქივში – და ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომები. მაგ. 1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე № ბს-184-183(კ-16); მაგ. 2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 25 მარტის ბრძანება და სააღსრულებო ფურცელი № 2/5856-19.
9. სქოლიოში მითითებული უცხოენოვანი წყაროს ყოველი სიტყვა იწერება დიდი ასო-ბგერით,

გარდა კავშირებისა, თანდებულებისა და არტიკლებისა (მაგ. 1. Kuester E.L, Confidentiality in Mediation, A Trial of Broken Priomises, Hamline Journal of Public Law and Policy, Vol.16, №2, 1994-1995, 579).

10. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში ან სქოლიოში საერთაშორისო ორგანიზაციათა დოკუმენტები გამოიყენება იმ სტილით, რომელიც გამოყენებულია ოფიციალურად საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ (იხ. ოფიციალური ვებგვერდები). მაგ. 1. OECD, G20/OECD Principles of Corporate Governance, OECD Publishing, Paris, <http://dx.doi.org/10.1787/9789264236882-en> [03.12.2019].

11. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში ან სქოლიოში კონვენციებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების გამოყენებისას, აუცილებელია მიეთითოს კონვენციის/საერთაშორისო ხელშეკრულების დასახელება, მუხლი/პუნქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წყარო, რომელშიც აღნიშნული კონვენცია/საერთაშორისო ხელშეკრულებაა გამოქვეყნებული, კონვენციის/ხელშეკრულების მიღების/ძალაში შესვლის თარიღი, შესაბამისი გვერდი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). მაგ. 1. 1985 Vienna Convention for the Protection of the Ozone Layer, International Legal Materials, 1985, 1520.

12. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში ან სქოლიოში მეორეული წყაროს გამოყენების შემთხვევაში, თავდაპირველად უნდა მიეთითოს ის ნაშრომი, რომელშიც ავტორი გაეცნო პირველად წყაროს. ნაშრომის ავტორი ჯერ მიუთითებს იმ წყაროს, რომელშიც იგი პირველად წყაროს გაეცნო, შემდგომ „იხ. ციტირება“-ს გამოყენებით მიუთითებს პირველად წყაროს. მაგ. 1. ელოშვილი ნ., კონფიდენციალურობის პრინციპის მნიშვნელობა მედიაციის პროცესში, ჟურნ. „დავის ალტერნატიული გადაწყვეტა – წელიწდეული 2013“, თსუს გამომცემლობა 2014, 32, იხ. ციტირება: Alfini J.J., Press S.B., Sternlight J.R., Stulberg J.B., Mediation Theory and Practice, 2nd ed., Lexisnexis, 2006, 222.

13. სამაგისტრო ნაშრომის ტექსტში როდესაც სიტყვასთან ერთდროულად თავს იყრის ბრჭყალი, სასვენი ნიშანი და სქოლიოს ნიშანი, უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ა. ბრჭყალი, ბ. სასვენი ნიშანი, გ. სქოლიოს ნიშანი; ციტირებული ტექსტის (წინადადების) ბოლოს კი: ა. სასვენი ნიშანი, ბ. ბრჭყალი, გ. სქოლიოს ნიშანი. ერთად არ იწერება ორი ბრჭყალი. ფრჩხილების შემთხვევაში შეიძლება მათი განსხვავებული ფორმების გამოყენება.

14. სქოლიოში იმავე წყაროზე მითითებისას, რომელიც უკვე გამოყენებული იყო, საჭიროა გამოყენებული იქნეს შემდეგი შემთხვევები:

ა.ზუსტად წინა სქოლიოში მითითებული წყაროს ნაცვლად მიეთითება „იქვე“. „იქვეს“ შემდეგ კი (თუ საჭიროა) მიეთითება განსხვავებული მონაცემები (ტომი, წელი, გვერდი).;

ბ. მანამდე მითითებული, მაგრამ არა წინამდებარე, წყაროს გამოყენებისას უნდა მიეთითოს ამ წყაროს სრული დასახელება შესაბამისი გვერდით. მაგ. 1. Palo G.D., Trevor M.B. (eds.), EU Mediation Law and Practice, Great Britain, Oxford University Press, 2012, 118; მაგ. 2. იქვე, 158-159 (წყარო იგივეა, განსხვავებულია გვერდი); მაგ. 3. იქვე. (წყაროც და გვერდიც ერთი და იგივეა).

მუხლი 10. სამაგისტრო ნაშრომის არააუცილებელი შემადგენელი ნაწილები

1. თუ სამაგისტრო ნაშრომს თან ერთვის ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების ნუსხა, იგი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) შემდეგ. ინტერვალი უნდა იყოს 1.5. აბზაცი, რომლის სიგრძეც აღემატება ერთ სტრიქონს, ინტერვალის ზომად აიღება 1. შრიფტის ზომა უნდა იყოს 12. გვერდის ნომრები უნდა განთავსდეს მარჯვენა მინდორთან. დასაშვებია სათაურსა და

გვერდის ნომერს შორის სივრცის შევსება სიმბოლოებით: „.“, „–“, „_“.

2. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების შემცველობა, ადგილმდებარეობა და ფორმატირება განპირობებულია ნაშრომის სპეციფიკით. სხვა ლიტერატურული წყაროებიდან აღებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების გამოყენებისას არ უნდა იქნას დარღვეული საავ-ტორო უფლებები. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები და სქემები აიგება შავ–თეთრად, ასევე დასაშვებია ფერადი დიაგრამებისა და ილუსტრაციების გამოყენება.

3. ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების დასახელებები უნდა განთავსდეს უშუალოდ მათ თავზე ან ბოლოში. შრიფტის ზომად გამოყენე-ბული უნდა იქნას ძირითადი ტექსტის შრიფტის ზომაზე 1 პუნქტით ნაკლები. დასაშვებია ნა-ხევრად მუქი შრიფტის გამოყენება. ინტერვალი აიღება 1–ის ტოლი.

3. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები, ილუსტრაციები და მათი დასახელებები შეიძლება განთავსდეს როგორც ძირითად ტექსტში, ისე ცალკეულ ინდივიდუა-ლურ გვერდზე დანართების სახით. ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები ტექსტიდან დაცილებული უნდა იყოს 1.5-2 სმ-ით. საჭიროების შემ-თხვევაში დასაშვებია ფურცლის ჰორიზონტალური ორიენტაცია. ჰორიზონტალური გვერდების მინდორი და გვერდის ნუმერაცია უნდა იყოს ვერტიკალური გვერდების ანალოგიური.

4. თუ სამაგისტრო ნაშრომს დანართების სახით თან ერთვის მონაცემთა ცხრილები, ანალიტიკური პროცედურები, დიაგრამები, სქემები და ილუსტრაციები, ისინი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომში ბიბლიოგრაფიის ან გამოყენებული ლიტერატურის ნუსხის შემდეგ. ამასთან, ძირითად ტექსტში არსებული მონაცემთა ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია წარმოებს გამჭოლად. დანართში არსებული ცხრილების, ანალიტიკური პროცედურების, დიაგრამების, სქემების და ილუსტრაციების ნუმერაცია იწყება თავიდან.

5. სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებული ისეთი აბრევიატურებისათვის, რომელიც არ არის საყოველთაოდ მიღებული, სასურველია ავტორი ს მიერ მოცემული იქნას მათი ჩამონათვალი და ახსნა, რაც ნაშრომს ადვილად აღსაქმელს გახდის. გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა სამაგისტრო ნაშრომში უნდა განთავსდეს შესავალ ნაწილში სამაგისტრო ნაშრომის სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის შემდეგ.

6. ავტორის სურვილის მიხედვით შესაძლებელია სამაგისტრო ნაშრომს დაერთოს ანბანური საძიებელი. ანბანური საძიებელი უნდა განთავსდეს სამაგისტრო ნაშრომის შესავალ ნაწილში სარჩევის (შინაარსის) ან ცხრილების ნუსხის ან გამოყენებული აბრევიატურების ნუსხის შემდეგ.

დანართი №2

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის სკოლის დეკანს

ბატონ/ქალბატონ ----------

(სახელი, გვარი)

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის

მაგისტრანტის ----------

(სახელი, გვარი)

განცხადება

გთხოვთ, მიიღოთ ჩემ მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი „----------“ განსახილველად.

გაცნობებთ, რომ სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს დამოუკიდებელი კვლევის შედეგს, ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული და იგი არ შეიცავს პლაგიატს/გაყალბებულ მონაცემებს.

მაგისტრანტის ხელმოწერა:----------

თარიღი:----------